

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
კლინიკურ მეცნიერებათა მიმართულების
სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტი**

სასწავლო კურსის დასახელება:	სამედიცინო რეაბილიტაცია და სპორტული მედიცინა
სწავლების საფეხური:	ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლება
სასწავლო კურსის ტიპი:	ძირითადი: მე-11/მე-12 სემესტრი
საგანმანათლებლო პროგრამის/ ფაკულტეტის სახელწოდება:	დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა/მედიცინის ფაკულტეტი
I დღე – 4 საკონტაქტო საათი კურაციული მეცადინეობა (4 საათი)	
<p>სამედიცინო რეაბილიტაციის მიზანი და ამოცანები. კლასიფიკაცია. ექიმ-რეაბილიტოლოგის ძირითადი ამოცანები.</p> <p>ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალურ-შრომითი რეაბილიტაცია. მათი დანიშვნის ჩვენებები და უკუჩვენებები.</p> <p>ფიზიკური რეაბილიტაციის საშუალებები: კინეზოთერაპია (სამკურნალო ვარჯიში, მასაჟი, დაჭიმვა, მექანოთერაპია), ფიზიოთერაპია, კურორტული თერაპია, ბალნეოთერაპია, აკუპუნქტურა, მანუალური თერაპია, შრომითი თერაპია, რაიტერაპია.</p> <p>კინეზოთერაპიის, როგორც ფუნქციური თერაპიის სამკურნალო მეთოდის დახასიათება. კინეზოთერაპიის ფორმები და საშუალებები. კინეზოთერაპიის ჩვენებები და უკუჩვენებები. კინეზოთერაპია ავადმყოფის სხვადასხვა მოძრაობის რეჟიმის დროს. კინეზოთერაპიის ეფექტურობის შემოწმების მეთოდების დემონსტრირება.</p> <p>ფიზიკური ვარჯიშების სამკურნალო მოქმედების მექანიზმები ადამიანის ორგანიზმზე. ფიზიკური ვარჯიშის ძირითადი პრინციპები. ფიზიოლოგიური მრუდის აგების წესი და მისი მნიშვნელობა სამკურნალო ვარჯიშების პროცედურების დოზირების საქმეში.</p> <p>სამკურნალო მასაჟი და მისი სახეები. ჩვენებები და უკუჩვენებები. მასაჟის ილეთები, მათი დახასიათება. მასაჟის ზემოქმედების თავისებურებანი სხეულის სხვადასხვა ნაწილზე და ფიზიოლოგიურ სისტემებზე.</p> <p>მექანოთერაპია. ჩვენებები და უკუჩვენებები.</p> <p>მანუალური თერაპია. მანუალური თერაპიის ჩატარების პრინციპები. ჩვენებები და უკუჩვენებები.</p> <p>აკუპუნქტურა. ჩვენებები და უკუჩვენებები.</p> <p>შრომითი თერაპია. მისი ძირითადი პრინციპები. ფორმები და შემადგენლობა.</p> <p>სამედიცინო რეაბილიტაციის საშუალებების გამოყენება ბავშვთა ასაკში.</p>	
II დღე – 4 საკონტაქტო საათი	

კურაციული მეცადინეობა (4 საათი)

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების მქონე ავადმყოფთა სამედიცინო რეაბილიტაცია: გულის იშემიური დაავადება (სტენოკარდია, მიოკარდიუმის ინფარქტი), ჰიპერტონული დაავადება, გულის მანკები, კარდიოინვაზიის შემდგომი რეაბილიტაცია.

რეაბილიტაცია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს ბავშვებში (გულის მანკები, რევმატიზმის გართულებები, კარდიოქირურგიული ჩარევის შემდგომი პერიოდი).

გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური სინჯები. ფიზიკური დატვირთვის ტესტები (ველოერგომეტრია, ტრედმილი, სტეპ-ტესტი).

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მედიკამენტოზური თერაპია, კინეზოთერაპია, ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. ჩვენებები და უკუჩვენებები.

III დღე – 4 საკონტაქტო საათი
კურაციული მეცადინეობა (4 საათი)

რესპირატორული სისტემის დაავადების მქონე ავადმყოფთა სამედიცინო რეაბილიტაციის ძირითადი პრინციპები.

რესპირატორული სისტემის დაავადების მქონე ავადმყოფთა სამედიცინო რეაბილიტაცია: პნევმონია, პლევრიტი, ბრონქული ასთმა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, ბრონქოექტაზიური დაავადება, პნევმოცისტოზი.

რესპირატორული სისტემის ფუნქციური სინჯები. სპირომეტრია.

თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლის მქონე ავადმყოფთა სამედიცინო რეაბილიტაცია.

პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებების მქონე ავადმყოფთა სამედიცინო რეაბილიტაცია.

თავის და ზურგის ტვინის ტრავმული დაზიანების მქონე ავადმყოფთა სამედიცინო რეაბილიტაცია.

სამედიცინო რეაბილიტაცია რესპირატორული და ნევროლოგიური დაავადებების დროს ბავშვთა ასაკში (პნევმონია, ბრონქიტი, ბრონქული ასთმა, ბავშვთა ცერებრული დამბლა, პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენები).

რესპირატორული და ნევროლოგიური დაავადებების მედიკამენტოზური თერაპია, კინეზოთერაპია. ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. ჩვენებები და უკუჩვენებები.

IV დღე – 4 საკონტაქტო საათი
კურაციული მეცადინეობა (4 საათი)

საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებების და ნივთიერებათა ცვლის დარღვევების მქონე ავადმყოფთა სამედიცინო რეაბილიტაცია.

საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებების მქონე ავადმყოფთა სამედიცინო რეაბილიტაცია: ხერხემლის დეფორმაციები (სკოლიოზი, კიფოზი, ლორდოზი), ბრტყელტერფიანობა, ართრიტები, ოსტეოართროზი, ხერხემლის ოსტეოქონდროზი, წელისა და ზურგის ქრონიკული ტკივილი, სახსრებზე და ხერხემალზე ქირურგიული ჩარევის შემდგომი რეაბილიტაცია. სხეულის სხვადასხვა ნაწილების ტრავმული დაზიანების მქონე ავადმყოფთა ფიზიკური რეაბილიტაცია.

სამედიცინო რეაბილიტაცია საყრდენ-მამოძრავებელიო აპარატის დაავადებების დროს ბავშვთა ასაკში (ხერხემლის და გულმკერდის დეფორმაციები, ბრტყელტერფიანობა).
ზემოთაღნიშნულ დაავადებათა მედიკამენტოზური თერაპია, კინეზოთერაპია, ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. ჩვენებები და უკუჩვენებები.

V დღე – 4 საკონტაქტო საათი
კურაციული მეცადინეობა (4 საათი)

კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადებების მქონე ავადმყოფთა სამედიცინო რეაბილიტაცია: გასტრიტი, კუჭის და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, კოლიტი, სანაღვლე გზების დისფუნქცია, მუცლის ღრუს ორგანოების დაწევა.
ნივთიერებათა ცვლის დარღვევების მქონე ავადმყოფთა სამედიცინო რეაბილიტაცია: შაქრიანი დიაბეტი, სიმსუქნე.
სამედიცინო რეაბილიტაცია ორსულობის პერიოდში და მშობიარობის შემდგომ; ნაყოფის არასწორი მდებარეობის დროს; ვიწრო მენჯის დროს; გულის მანკით დაავადებულ ქალებში; საკეისრო კვეთის შემდგომ პერიოდში.
გინეკოლოგიური დაავადებების მქონე ავადმყოფთა რეაბილიტაცია: უშვილობის, კლიმაქსის, საშვილოსნოს დაწევის, საშვილოსნოს გადახრის, ადნექსიტის დროს, გინეკოლოგიური ოპერაციების შემდგომ პერიოდში.
შარდის გამომყოფი სისტემის დაავადებების მქონე ავადმყოფთა რეაბილიტაცია: თირკმლის ქრონიკული დაავადება, თირკმლის კენჭოვანი დაავადება.
სამედიცინო რეაბილიტაცია საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების და ნივთიერებათა ცვლის დარღვევების დროს ბავშვთა ასაკში.
ზემოთაღნიშნულ დაავადებათა მედიკამენტოზური თერაპია, კინეზოთერაპია, ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. ჩვენებები და უკუჩვენებები.

VI დღე – 4 საკონტაქტო საათი
შუალედური ჩათვლა (4 სთ)

ზეპირი პრეზენტაცია სამედიცინო რეაბილიტაციაში რეფერატის წარმოდგენითა და განხილვით.

VII დღე – 4 საკონტაქტო საათი
კურაციული მეცადინეობა (4 საათი)

სპორტული მედიცინა, მისი თავისებურებანი. გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი, საყრდენ-მამოძრავებელი და ნერვული სისტემის თავისებურებანი სპორტსმენებში.
სპორტული პათოლოგია
სპორტსმენის მორფოლოგიისა და ფიზიოლოგიის საფუძვლები. სპორტული წვრთნის გავლენა ადამიანის ორგანიზმზე.
საექიმო კონტროლის დახასიათება. ფიზიკური განვითარების გაზომვის (ანტროპომეტრია) და შეფასების (ინდექსები და სტანდარტები) მეთოდები.
სპორტსმენის ჰიგიენური რეჟიმი. სპორტსმენის კვება.

VIII დღე – 4 საკონტაქტო საათი

კურაციული მეცადინეობა (4 საათი)	
<p>სპორტსმენის გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური გამოკვლევის მეთოდები (მარტინე-კუმელევსკის, სვანიშვილის სინჯები, ჰარვარდის სტეპ-ტესტი). გულ-სისხლძარღვთა სისტემის რეაქციები ფიზიკურ დატვირთვებზე.</p> <p>სპორტსმენის ელექტროკარდიოგრაფია და ექოკარდიოგრაფია. სპორტსმენის ფიზიკური მუშაობის უნარის განსაზღვრა სუბმაქსიმალური ტესტით – PWC170. ტესტის ჩატარების და შეფასების მეთოდოლოგია.</p>	
IX დღე – 4 საკონტაქტო საათი კურაციული მეცადინეობა (4 საათი)	
<p>სპორტსმენის გადაღლა, გადაძაბვა, გადაწვრთნა. მათი გამოწვევი მიზეზები. უეცარი სიკვდილი სპორტში.</p> <p>სპორტული ტრავმატიზმი. სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის დამახასიათებელი ტრავმული დაზიანებები.</p> <p>სპორტული მედიცინის თავისებურებანი ბავშვთა ასაკში. ბავშვთა სპორტული ტრავმატიზმი.</p> <p>დოპინგი სპორტში.</p>	
X დღე – 4 საკონტაქტო საათი შუალედური ჩათვლა (4 საათი)	
<p>ზეპირი გამოკითხვა სპორტულ მედიცინაში</p>	
<i>საბოლოო წერილობითი გამოცდა ტესტ-კითხვარით.</i>	

<p>შეფასების სისტემა (მაჩვენებლები):</p>	<p>კრედიტი შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სასწავლო შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც უნდა აისახოს შემდეგ აზზაცში მოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასების მინიჭებით:</p> <p>ა) ხუთი ტიპის დადებითი შეფასება:</p> <p>A. ფრიადი – მაქსიმალური ქულის 91% და მეტი</p> <p>B. ძალიან კარგი – მაქსიმალური ქულის 81-90%</p> <p>C. კარგი – მაქსიმალური ქულის 71-80%</p> <p>D. საშუალო – მაქსიმალური ქულის 61-70%</p> <p>E. დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური ქულის 51-60%</p> <p>ბ) ორი ტიპის უარყოფითი შეფასება:</p> <p>FX. არადამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური ქულის 41-50%. სტუდენტს სჭირდება დამატებითი დამოუკიდებელი</p>
---	--

	<p>მუშაობა, რის შემდეგაც ეძლევა დამატებითი გამოცდის ჩაბარების შანსი</p> <p>F. სრულიად არადამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური ქულის 40% და ნაკლები, სტუდენტმა თავიდან უნდა გაიაროს საგანი.</p> <p>საბოლოო შეფასება ემყარება:</p> <ul style="list-style-type: none">• დასწრება – 5 ქულა (10 სემინარი/პრაქტიკული, თითოეული ფასდება 0.5 ქულით)• აკადემიური აქტივობა – 32% (4 X 8)• შუალედური ჩათვლები – 20% (10 X 2)• რეფერატი – 3%• საბოლოო წერილობითი (ტესტური) გამოცდა – 40% <p>-----</p> <p>საბოლოო შეფასება – 100%</p>
--	---